სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60923858679224

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241006488

რეგისტრაციის თარიღი

06.08.2024 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია

მისამართი: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1

ტელეფონი: +995593677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ოცდაოთხი წლის ექვს აგვისტოს, მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. #1,** მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **თემური ჭრიკიშვილმა.** მან, როგორც **შპს „ჩემპიონთა სახლი"-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **გიორგი ძიძიკაშვილს. თემური ჭრიკიშვილმა** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე **თემური ჭრიკიშვილის,** როგორც **შპს „ჩემპიონთა სახლი"-ს (რეგ: 13/02/2018წ. ს/ნ 405253292. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20025425. ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/03/2020 11:10:32) დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.** მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

თემური ჭრიკიშვილმა (დაბ: 18.05.1992წ. გარდაბანში, პ/ნ 12001091948, მის: გარდაბანი ს. ნორიო მე–13 I ჩიხი N 4ა), როგორც შპს „ჩემპიონთა სახლი"-ს დირექტორი, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მიმნდობი", გიორგი ძიძიკაშვილს (დაბ: 21.07.1993წ. გარდაბანში, პ/ნ 12001092336),** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მინდობილი",** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:
მინდობილი პირი უფლებამოსილია აწარმოოს **შპს „ჩემპიონთა სახლი"-ს** სახელზე რეგისტრირებულ ნებისმიერ უძრავ ქონებებზე სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოები, წარადგინოს პროექტი დასამტკიცებლად, შეათანხმოს კორექტირებული პროექტი, ჩააბაროს დასრულებული მშენებლობა, შეათანხმოს შესაბამის სამსახურებთან, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი განცხადებები, დოკუმენტები, პროექტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, შეაგროვოს ყველა საბუთი, საზოგადოების სახელით მშენებელობასთან დაკავშირებით გასცეს ნებისმიერი შინაარსის თანხმობა, განცხადება, გაიყვანოს კომუნიკაციები (შუქი, გაზი, წყალი, ინტერნეტი, შეიძინოს კოეფიციენტი, აწარმოოს ნებისმიერი უძრავი ქონების განშლასთან, გამიჯვნასთან, გაერთიანებასთან, გაყოფასთან და კორექტირებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო მოქმედება, აწარმოოს საქმეები სარეგისტრაციო მონაცემებში და ელ. ვერსიაში ტექნიკური ხარვეზის შესწორებასთან, შეიტანოს ცვლილებები უკვე რეგისტრირებულ მონაცემებში, წითელი ხაზების კორექტირებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო მოქმედება, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, ასევე ხელი მოაწეროს განშლის, გამიჯვნის, გაყოფის ოქმებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, საჭიროებისმამებრს შეიტანოს მასში ცვლილებები, წარადგინოს საკადასტრო აზომვითი ნახაზები, მოახდინოს განხორციელებული ცვლილებების და უძრავი ქონების რეგისტრაცია მიმნდობი პირის სახელზე. ამასთან დაკავშირებით უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას მიმნდობის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, საკრებულო), ლეგალიზაციის კომისიაში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართის სააგენტოში, არქიტიტექტურის სამსახურში, სანოტარო ბიუროში, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადები, ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი ცნობები, მოწმობები, დოკუმენტები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზ/აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა:
მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.
მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადაწდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: **შპს „ჩემპიონთა სახლი"-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

მიმნდობი: **შპს „ჩემპიონთა სახლი"-ს** დირექტორი:

სახელი, გვარი _____

ნოტარიუსი **ანჟელა მანია**



ГРУЗИЯ, НОТАРИУС МАНИЯ АНЖЕЛА
62001034660